# საბჭოთა დემოკრატიის ზეიმი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 135 (13529) | ორშაბათი, 13 ივნისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.


## გუშინ, 12 ივნისს, მთელს ჩვენს დიად ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო ზეიმი იყო.

საქართველოს მშრომელებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი ერთსულოვნება და დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო — ხმა მისცეს რჩეულთ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

## სამშობლოს სახელით

დიდი ზეიმის დღე იყო გუშინ. ამ დღეს ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძეს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებმა. და სოფლებმა. ჯერ დილის ექვსი საათიც არ იყო, რომ ქუჩები და სოფლის შარაგზები ხალხით აივსო. მუშები და კოლმეურნეები, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკები, ყველა დარგის მომუშავე ადამიანები უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ საარჩევნო უბნებისაკენ, „რათა პირნათლად მოეხადათ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი, ხმა მიეცათ საბჭოთა პარლამენტში თავიანთი წარგზავნილებისათვის.

რესპუბლიკის მშრომელები საარჩევნო უბნებში მდიდოდნენ ერთი რწმენით, რომ ძალღონეს არ დაიშურებენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ ყველაზე შედეგიანი, შემოქმედებითი შრომით შეიტანონ თავიანთი წვლილი სახალხო მეურნეობის შემდგომ წინსვლაში, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებაში.

წინასაარჩევნო ცნობები, რომლებიც უკვე მიღებულია, ნათელყოფენ ყველაზე მთავარ შედეგს, რომ არჩევნებში სრული და ურღვევი გამარჯვება მოიპოვა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკმა. არჩევნები ყველგან მიმდინარეობდა უდიდები პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში.

ხალხს კანდიდატებს რომ მისცეს ხმა, საქართველოს მშრომელებმა ამით ხმა მისცეს დიადი საბჭოთა ქვეყნის ახალ გარმატებებს, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. ამით მათ ერთხელ კიდევ დამტკიცეს, რომ მზად არიან ენერგიის დაუზოგავად ხელი შეუწყონ პარტიის წინასწარდასახულებათა განხორციელებისათვის, ხუთწლიანის ადრე ვადამდე განაღდებისათვის.

ამომრჩევლებმა თავიანთ ლეპუტატობის კანდიდატებს ერთსულოვნად რომ მისცეს ხმა, ეს მათ—ხალხის რჩეულებმა ბრალდებული და შემოქმედებითი შრომით დიამსახურეს.

ხალხს, პარტიას სჯერა, რომ გუშინდელი დეპუტატობის კანდიდატები, დღეს დეპუტატები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში დაეურდნობიან მშრომელთა ფართო მასებს და ენერგიას არ დაზოგავენ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისათვის, ხალხთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისებისათვის.

საბჭოების საქმიანობის ჭეშმარიტი ბაზის შექმნისა ალტიერი მებრძოლი.

მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი ლენინის სიტყვები, რომ ხალხის დეპუტატებმა „თვითონ უნდა იმუშაონ, თვითონ შეასრულონ თავიანთი კანონები, თვითონ შეამოწმონ ის, რაც ხდება ცხოვრებაში, თვითონ უნდა აგონ ახალი უფუალოდ თავიანთ ამომრჩეველთა ფინაშე“.

წარსულ ორ ოლქში ჩატარებულ საარჩევნო ოლქებში ... ამ ... ... ...

# ხალხმა ხმა მისცა პარტიას, მშვიდობას!

## ზეიმი ახალ უბანში

ელმავალმშენებელთა დასახლების მცხოვრებლები ამ დღისათვის ემზადებოდნენ როგორც დიდი დღესასწაულისათვის. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ დეპუტატობის კანდიდატებისათვის ხმის მიცემა კვირა დილით 6 საათზე უნდა დაწყებულიყო. ჯერ კიდევ შაბათ საღამოს, როგორც დიდი სიხარულის, საბჭოთა დემოკრატიის ზეიმის უფერტიერა, ისე გამოფენილიყო ხალხი მოედნებზე, სკვერებში. იხმოდა სიმღერები, ახალგაზრდებს ცეკვა გაეჩაღებინათ, ჩაუქი ბიჭები და ტანწერწეტა გოგონები „ქართულს" უვლიდნენ...

იქ, სადაც ახლა თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის დასახლებაა ოთხი წლის წინათ ტრიალი ველი იყო. დღეს აქ ნახავთ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს, საბავშვო ბაღებსა და ბაგებს, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიებს, ეურნალ-გაზეთების კიოსკებს, კეთილმოწყობილ ფეხბურთის სტადიონს და სპორტულ მოედნებს, ფართო მოასფალტებულ გზებს, გაზონებს, სკვერებს, ნაირფერი ყვავილებითა და მარადმწვანე მცენარეებით დამშვენებულ ბაღებს. მრავალსართულიანი რამდენიმე სახლი ხარაჩოებში დგას. მათი მშენებლობა მალე დამთავრდება და ამ დღეებში შესახლდებიან კიდევ რაიონის მშრომელები.

ერთი სიტყვით, აქ ყველაფერს სიახლის იერი დაჰკრავს, ჯერაც დგას ცემენტის, გაჯისა და საღებავის სუნი. ქუჩებს აქ ჯერ მტვერი არ დასდებია, ისევ შავად ბზინავს ახალდაგებული ასფალტი. სასიხარულო და საამაყოა — ახალი უბანი შეემატა ქალაქს, ბედნიერება შეემატა ხალხს. ოერთმეტი ათასი მცხოვრები პყავს ქართველ ელმავალმშენებელთა დასახლებას.

გუშინ ამ უბნის მცხოვრებლები პირველად შეხვდნენ ახალ ჭერქვეშ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, ხალხმა ზეიმად და დღესასწაულად რომ აქცია.

აღრე დილიდან იწყეს დენა საარჩევნო უბანში ამომრჩევლებმა. აქ კენჭს იყრიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ოთარ ლოლაშვილი და თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გურამ ჩადუნელი — კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატები.

ჯერ კარგად გათენებულიც არ იყო, საარჩევნო უბნებთან თავი რომ მოიყარეს ამომრჩევლებმა. ამ დასახლებაში ოთხი ათასზე მეტი ამომრჩეველია, რომელთაც ორი საარჩევნო უბანი ემსახურება. სრულ ეკვს საათზე საუბნო-საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა — ელმავალსამშენებლო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. გურულმა და ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილემ გ. ქსოვრელმა ამომრჩევლები საარჩევნო ყუთებთან მიიწვიეს. ბევრნი იყვნენ და ყველას უნდოდა პირველს აეღო ბიულეტენი. ბოლოს მაინც გურამ ჩადუნელის ბრიგადის წევრმა ელგუჯა ფოფხაძემ იმარჯვა. ელგუჯას ალალად უხაროდა ხმა მიეცა ხალხის ამ შესანიშნავი წარმომადგენლებისათვის, როცა საარჩევნო ყუთში ბიულეტენი ჩაუშვა.

მან იცის, რომ ხმას აძლევს თავისი საშობლოს დიდებას, მისი მშობლიური ქალაქის აყვავებას, მშვიდობიან შემოქმედებით შრომას. მას, ისე როგორც ყველა ამომრჩეველს, ყველა საბჭოთა ადამიანს, სჯერა და სწამს, რომ ეს ხმა ამომრჩევლისა ადიდებს ჩვენს შრომას და ბრძოლას. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები ეს ხომ პარტიისა და ხალხის ერთიანობის ნათელი დემონსტრაციაა. ამ არჩევნებისათვის მზადება დიდი ხანია დაიწყეს ჩვენმა საწარმოებმა. აი ამის მაგალითიც:

გურამ ჩადუნელი და მისი ბრიგადის წევრები ამ ღირსშესანიშნავ დღეებში ენერგიულად მუშაობდნენ. 11 ივნისს ამ ბრიგადამ გეგმა 145 პროცენტით შეასრულა.

საარჩევნო ბიულეტენები მოწიწებით აიღეს ხელში იმ საამქროს უფროსის მოადგილემ, სადაც გურამ ჩადუნელი მუშაობს, ვალერიან მეგრელიშვილმა და მისმა მეუღლემ ეკატერინემ.

— მეამაყება, რომ საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, —თქვა ვალერიანმა, — იქნება ჩვენი ქარხნის შესანიშნავი წარმომადგენელი, უბრალო ადამიანი, კაცური კაცი გურამ ჩადუნელი.

ასევე აღფრთოვანებულმა მისცა ხმა ამწყობი საამქროს ელექტრომემონტაჟეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა გურამ მეტონიძემ. ამომრჩეველმა ნიკოლოზ მოროზოვმა ხმის მიცემის დროს განაცხადა:

— მე ამით ხმას ვაძლევ ხალხთა შორის მშვიდობას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას, კომუნიზმის დიად მომავალს.

ხმას აძლევენ ცოლ-ქმარი ლიდა და თენგიზ გელაშვილები. თენგიზი სამანქანო საამქროს სპეციალური ჩარხის მოწინავე ხარატია. იგი საწარმოო დავალებას ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ელმავალსამშენებლო ქარხნის დასახლების ამომრჩევლებმა დეპუტატობის მარტო ორ კანდიდატს როდი მისცეს ხმა, ისინი ხმას აძლევდნენ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ორგანოს, ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ხალხს, ხმას აძლევდნენ ინდუსტრიის მძლავრ მაჯისცემას, ბაღ-ვენახების აყვავებას, ხმას აძლევდნენ ყოველივე სიკეთეს, ხმას აძლევდნენ ქვეყნის მშვიდობას...

ხმის მიცემა ძირითადად თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის დასახლებაში დღის 12 საათისათვის დამთავრდა, მაგრამ გვიანობამდე არ შეწყვეტილა ზეიმი საარჩევნო უბნებში. მოედნებზე ტევა არ იყო. გამოდიოდნენ თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები. იყო სიმღერები, ცეკვები, მხიარულება.

ზეიმობდა ხალხი, ზეიმობდა ელმავალსამშენებლო ქარხნის დასახლება.

**ბ. ბახტურიძე.**

**თბილისის** კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშებმა (მარჯვნიდან მარცხნივ) ზ. ბეგაშვილმა, ა. ლომიძემ და ლ. დიმჩენკომ ხმა მისცეს ხალხის რჩეულებს ლენინის რაიონის 22/22 საარჩევნო უბანში (ზემო სურათზე); ქვემოთ — თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 30/30 საარჩევნო უბანში ხმას აძლევს 80 წელს გადაცილებული პენსიონერი პედაგოგი ნ. ზარაქაშვილი.

ფოტო შ. ჩხეიანისა.

## ხუთწლედზე ფიქრით...

ქუთაისი. პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებით შთაგონებული ქუთაისის მშრომელები შესანიშნავი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ არჩევნებს. ქალაქის მრეწველობამ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის პირველი წლის ხუთი თვის დავალება და გეგმის ზევით სამშობლოს მისცა 3.593 ათასი მანეთის სხვადასხვა სახის პროდუქცია. ბევრმა საწარმომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის გაანაღა ნახევარი წლის საწარმოო დავალება.

12 ივნისს დილაადრიან გამოოღვიძა ქუთაისმა. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ხალხმრავალი ვიხდა მისი ქუჩები და მოედნები. ხმის მიცემის დაწყებამდე ათასობით ადამიანი შეიკრიბა საარჩევნო უბნებში. ყველგან გაისმის მუსიკისა და სიმღერის ტკბილი ჰანგები. დილის 6 საათზე სტუმართმოყვარულად გაიღო საზეიმოდ მორთული ყველა 55 საარჩევნო უბნის კარები. თავისი ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი 90 ათასზე მეტი მოქალაქე მივიდა საარჩევნო ყუთებთან, რათა ხმა მიეცა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის სახალხო ბლოკის კანდიდატებისათვის.

გორის ქუჩაზე 29 საშუალო სკოლის შენობაში № 15 საარჩევნო უბანია. ხუუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მ. ჟორჟოლიანმა ამომრჩევლებს მიულოცა არჩევნების დაწყება და ხმის მისაცემად მიიწვია ისინი. საარჩევნო ყუთთან პირველად მიდის ახალგაზრდა ამომრჩეველი, მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტი მარინე ბრეგაძე, ბიულეტენის ჩაშვებისას მან თქვა:

— ეს დღე დაუვიწყარი იქნება ჩემს ცხოვრებაში. პირველად ვაძლევ ხმას ხალხის რჩეულებს. მე ვიცი, რომ ამით ხმას ვაძლევ ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ახალი ხუთწლედის დიდებული პროგრამის შესრულებას, ჩვენი ახალგაზრდობის ბედნიერ ცხოვრებას.

პარტიაზე, ახალ ხუთწლედზე ფიქრით ჩაუშვეს ბიულეტენები საარჩევნო ყუთებში საკონსერვო ქარხნის მუშამ ნ. ზარდალიშვილმა, საავტომობილო ქარხნის ინჟინერმა ი. მოშიაშვილმა, პენსიონერმა მასწავლებელმა ლ. კუპაიძემ, ექიმმა ნ. რურუამ, დოცენტმა ს. ბოცვაძემ, იურისტმა ა. ჩიქოვანმა.

განსაკუთრებული გამოცოცხლება იყო ქართული ავტომობილის მშენებელთა დაბაში. აქ ახლა ხუთი საარჩევნო უბანია.

№ 2 საარჩევნო უბანში, სადაც 2.300 ამომრჩეველია, ხმის მისაცემად პირველები მოვიდნენ საავტომობილო ქარხნის საამქროს უფროსი ა. შენგელია და ხარატი თ. ჯულელი. ქართველთან ერთად აქ ხმას აძლევდნენ ქარხნის მრავალეროვანი კოლექტივის წარმომადგენლები — რუსი ვ. როგოვი, უკრაინელი ვ. ხოროშაილო, ბელორუსი მ. ლუსკევიჩი, სომეხი ვ. გასპარიანი, აზერბაიჯანელი ა. გარიკოვა, ბერძენი ლ. პაპასილიდი, უზბეკი ამმედჯან იუსუპოვი.

12 საათისათვის ხმის მიცემა ყველა საარჩევნო უბანში ძირითადად დამთავრებული იყო, მაგრამ სახალხო ზეიმი გვიანობამდე გაგრძელდა.

**შ. ჯავახაძე.**

„კომ". საკ. კორ.

**თბილისის** — ორჯონიკიძის სახელობის რაიონის 23/23 საარჩევნო უბანი. **სურათზე:** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი ყუთში უშვებს ბიულეტენებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ავიატორთა გულისთქმა

ჩვეულებრივზე ადრე გაღვიძა გუშინ თბილისის ავიატორთა დასახლებას. როგორც კი მტრედისფრად ინათა, ამომრჩეველთა დიდი ჯგუფი შეიკრიბა კლუბის შენობასთან, სადაც № 57/54 საარჩევნო უბანია მოწყობილი. აქ კენჭს იყრიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ბ. დიმიტრის-ძე ჯაფარიძე და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი სამგორის მოწინავე მეფრინველე მ. ბ. ასლი ასლი ქმ. ბ. ასლი.

საარჩევნო ყუთთან პირველთაგანნი გამოცხადდნენ რეაქტიულ თვითმფრინავთა მართვის ოსტატები ზ. მიქელაძე, პ. ჭახრაკია, ვ. ზუბოვი, ე. გუსევი, ა. ელიზბარიშვილი.

— ვასორციელებ რა ჩემს მოქალაქეობრივ უფლებას, — ამბობს პილოტი პ. ჭახრაკია, — ხმას ვაძლევ ჩვენი ქვეყნის შემდგომ გაძლიერებას, მშვიდობასა და ხალხის კეთილდღეობას.

საარჩევნო უბნებიდან ავიატორები პირდაპირ თვითმფრინავებისაკენ მიემართებიან. დღეს მათ პირველი რეისი ჩვეულებრივზე ადრე დაუნიშნეს.

— ადგილობრივი რეისები, — მოგვითხრობს პასუხისმგებელი მორიგე ნ. გაზოკიძე, — დღეისათვის ჩვენ ადრე დავნიშნეთ, რათა მგზავრები დროულად მივიდნენ თავიანთ ადგილებზე და მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

დღის 2 საათისათვის თითქმის ყველა ამომრჩეველმა მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი. ავიატორთა კლუბში ზეიმი დიდხანს გრძელდებოდა. აეროპორტში კი გვიან ღამემდე არ შეწყდარა მოტორების გუგუნი. გუშინ აქ ავიატორებმა ორგანიზებულად იმუშავეს.

(„კომუნისტის" კორ.).

# ერთსულოვნება, დარაზმულობა

### გუშინ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის ამომრჩევლებთან

**მზიურ** აფხაზეთში გუშინ უბანზე იყო ხალისი და ყვავილები. მშრომელები მაღალი პოლიტიკური და შრომითი ღონისძიების ვითარებაში შეხვდნენ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების დღეს. სამრეწველო საწარმოებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს დიდძალი პროდუქცია. სასახელო მაჩვენებლებს აღწევენ ავტონომიური რესპუბლიკის მეჩაიეები. შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 6.000 ტონით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო გალამაზდა და კეთილმოეწყო აფხაზეთის ქალაქები და სოფლები. აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, კულტ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება. არა მარტო ადგილობრივი მკვიდრნი, დასასვენებლად ჩამოსული მრავალრიცხოვანი სტუმრებიც კმაყოფილებას გამოთქვამენ ამ სასიხარულო ცვლილებების გამო.

აფხაზეთის ყველა საარჩევნო უბანში გუშინ ჯერ კიდევ გათენებამდე უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა. დილის ექვს საათზე ფართოდ გაიღო სადღესასწაულოდ მორთული ყველა საარჩევნო უბნის კარი.

სოხუმის აკ. წერეთლის სახელობის მე-6 საშუალო სკოლაში მეოთხე საარჩევნო უბანია მთთავსებული. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვ. ჭანტურია ამომრჩევლებს იწვევს ხმის მისაცემად. თაიგულით ხელში შემოდის და ბიულეტენებს პირველი იღებს მეთერთმეტეკლასელი ლიანა ბარამაძე.

— სულითა და გულით ვაძლევ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს, — ამბობს იგი. — დარწმუნებული ვარ, რომ ამით ხმას ვაძლევ ჩვენი ხალხის, საბჭოთა ახალგაზრდობის ბედნიერ აწმყოს და უფრო გაცისკროვნებულ მომავალს.

მეუხიდაკად წეიმიანი ამინდისა, ამავე საარჩევნო უბანში ერთ-ერთი პირველი გამოიცხადდა 91 წლის მოხუცი კესარია შეკალიანი.

გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად პირველნი მოვიდნენ სახელოვანი ადამიანები, საკოლმეურნეო შრომის ვეტერანები. საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაშვებისას ხანდაზმულმა კოლმეურნემ მურად თარბამ განაცხადა:

— განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ დეპუტატობის კანდიდატთა შორის ხმას ვაძლევ ჩვენი კოლმეურნეობის სახელოვან მეჩაიეს **სვეტლანა აგრბას.** იგი ჩვენს თვალწინ იზრდებოდა. სწავლასა და შრომაში ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი თანატოლებისაგან. სწორედ ამიტომაც გამოოცხადა ნდობა მას ხალხმა.

სოხუმის რაიონის აბეაყვის საარჩევნო უბანში საარჩევნო ბიულეტენებს პირველნი იღებენ კოლმეურნეობის წარჩინებული მეთამბაქოე, ლენინის ორდენოსანი მედია ბარათაშვილი და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტი, ახალგაზრდა ამომრჩეველი სვეტლანა ჯგერენაია.

არჩევნების დღემ ნამდვილი ზეიმის, ხალხთა ერთსულოვნებისა და დარაზმულობის ვითარებაში ჩაიარა მეუხტეთა ქალაქ ტყვარჩელში, გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში.

აფხაზეთის მშრომელებთან ერთად არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს აქ დასასვენებლად ჩამოსულმა მრავალრიცხოვანმა სტუმრებმა.

შუადღისათვის აფხაზეთში ხმის მიცემა ძირითადად დამთავრებული იყო.

**ი. გოგეჩია.**

„კომუნისტის" საკ. კორ.

**დილაადრიან** გაიღვიძა ქ. ბათუმმა, ახმაურდა ქუჩები, სკვერები. საარჩევნო უბნებისაკენ დაიძრნენ საზეიმოდ გამოწყობილი ადამიანები. კლდიაშვილის საარჩევნო უბანი. საარჩევნო კომისიის მაგიდასთან პირველი მიდის დ. დავითაძის ოჯახი. დიოგენ დავითაძეს და მისმა მეუღლემ ეკატერინე ნიხლაძემ ხმა მისცეს სქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ამბ. შოთა კიკნაძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში და ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკის მკერავ-მოტორისტს **ი. სურგულაძეს** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოში ასარჩევად.

საზეიმოდ მორთულია ქ. ქობულეთი. დილის ექვს საათზე რკინიგზის საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარე შ. წერეთელი ამომრჩევლებს იწვევს ხმის მისაცემად. საარჩევნო უბანში შემოდიან რკინიგზელები. ისინი ხმას აძლევენ თავიანთ რჩეულებს. „მათ მოპყრობიან ქობულეთელი ფიეიერები, სასურსათო ქარხნის მუშები, ყველა მათგანი აღსავსეა მისწრაფებით მოიხადოს თავისი მოქალაქეობრივი ვალი, ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა არჩევნები ჩიქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის № 22 საარჩევნო უბანში. აქ ხმა მისცეს ქართველებმა, რუსებმა, უკრაინელებმა, ბელორუსებმა, სომხებმა, პოლონელებმა და ბულგარელებმა — სულ 17 ერის წარმომადგენლებმა.

— ჩვენმა ამომრჩევლებმა სასახელოდ შეასრულეს წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება, — თქვა ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ლენინის ორდენოსანმა შ. მახაძემ, — გადაჭარბებით შეასრულეთ ჩაის ფოთლის კრეფის აპრილ-ივნისის დავალება და კარგა ხანია ფოთოლს იკლესს ანგარიშში ვკრეფთ. წარმატებები მოიპოვეს ჩვენმა მეცატრუსეებმა, მესიმინდეებმა, მეცხოველეებმა. ამიტომ არის, რომ ამომრჩევლები ასე მაყად მოვიდნენ ხმის მისაცემად.

შუახევის რაიონის შუბნის საარჩევნო უბანში ბიულეტენები პირველმა ჩაუშვა საარჩევნო ყუთში მე-11 კლასის წარჩინებულმა მოსწავლემ ვახტანგ ხიმშიაშვილმა, მან თქვა, ამით დღის მე ხმას ვაძლევ ჩემს დიდებულ აწმყოს და უფრო უკეთეს მომავალსო.

მთელ აჭარაში, მთასა და ბარში, ქალაქებსა და სოფლებში წარმატებით ჩაიარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა.

**მ. მშვიდობაძე.**

გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქციის თანამშრომელი.

**ცხინვალი.** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საარჩევნო უბნებში ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ორგანიზებულად ჩატარებულიყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ამომრჩევლები დილადანვე უწყვეტ ნაკადად გაემართნენ საარჩევნო უბნებისაკენ, რათა განეხორციელებინათ თავიანთი მოქალაქეობრივი უფლება — ხმა მიეცათ რჩეულთა შორის რჩეულებისათვის.

დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა შეუხტეთა დაბა კვაისაში. საარჩევნო უბნებში პირველნი მივიდნენ ჩერმენ ბაგაევი, სერგი ქერეხსოევი, ჩერმენ ძიგოევი, რომელთაც ნახევარი წლის დავალება არჩევნების დღისათვის გაანაღდეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები კარგად მიეწყო ლენინგორის რაიონში. საზაფხულო იალაღებზე, სადაც ახლა ლენინგორელთა ცხვარია, მეცხვარეები ხმას აძლევენენ ჩვენი ქვეყნის საოჯახეთესო შვილებს, წარმოებისა და საკოლმეურნეო შრომის შესანიშნავ წარმომადგენლებს.

ქ. ცხინვალის ენგელსის საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად პირველი მივიდა ილინე მამისაშვილი, რომელიც წელს პირველად მონაწილეობს არჩევნებში.

კომუნარების საარჩევნო უბანში „ი პირველი ბიულეტენის ჩაგდება წილად ხვდა მოწინავე მუშას თადეოზ თიდეევს.

არჩევნებმა ოლქში დიდ პოლიტიკურ ვითარებაში ჩაიარა. ამომრჩევლებმა გამამეცნიერეს ერთსულოვნებს და დარაზმულობა.

**ი. თედიაშვილი.**

„კომუნისტის" საკ. კორ.

## მთეგის ძახილი

**დუშეთი.** საათის ისარი ექვსს უახლოვდება. ფასანაურის № 136/83 საარჩევნო უბანში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. აქ არიან მთიელები, ახალგაზრდები და მოხუცები, აქ არიან ტურისტები შორეული ტაშკენტიდან, უზბეკეთიდან, ამომრჩეველთა შორის არიან რუსები, უკრაინელები, ბელორუსები... დილის ექვს საათზე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ ლეონიძე კენჭისყრას დაწყებულად აცხადებს. ბიულეტენებს პირველი იღებს ტაბეკი ტრაქტორისტი საბირ სულთანოვი, რომელიც საქართველოში ტურისტული საგზურით ჩამოსულა, პირველობას არავის უთმობს ფასანაურის საშუალო სკოლის მოსწავლე ნინო ობგაიძე, რომელმაც პირველად მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი.

შემდეგ ურნასთან მიდიან უხუცესები შო აფციაური და მიხა ბექაური. ორივეს სახეზე ღიმილი დასთამაშებს. ეს გასაგებიც არის. მათ თვალწინ გალამაზდა და გამშვენიერდა ერთ დროს უბადრუკი მთის სოფელი ამჟამად დაბა ფასანაური. მარტო უკანასკნელ წლებში აქ ამენდა საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა. აიგო კეთილმოწყობილი სასტუმრო, ფასანაურმა მიიღო მუნიციპალური გაზი, ამჟამად აქ შენდება ტურისტული ბაზის ახალი შენობები, ლამაზდება ქუჩები, მიმდინარე ხუთწლედში დაბას შეემატება კულტურის სახლი, უნივერსალური მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებები.

დიახ, რომ უხარიათ ფასანაურელებს მშობლიური დაბის წინსვლა. ამიტომაც ასე ხალისით აძლევენ თავიანთ ხმებს კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს **გ. დ. ჯავახიშვილს** და **ლ. ე. დეკანოსიძეს.**

საარჩევნო უბანში მოვიდა ორასორმოცდაათზე მეტი ტურისტი, ისინი დიდი სიხარულით მონაწილეობდნენ კენჭისყრაში, ქართველ მეგობრებთან ერთად ცხადყოფენ თავიანთ დიდ ერთგულებას პარტიისადმი, ხალხისადმი.

უბანში უკრავს მუსიკა, გაჩაღებულია ცეკვა, ნამდვილი სახალხო ზეიმია. ერთი წუთითაც არ წყდება ამომრჩეველთა ნაკადი... კენჭისყრის ამ სასიხარულო წუთებში მაღალწლის მთისაკენ ცხენებს მიაჭიოლებენ საარჩევნო კომისიის წევრება შალვა მოლოდინი და მათ წოკლაური, რომლებსაც მთაში მყოფ მწყემსებთან მიაქვთ ურნა და ბიულეტენები. გამოჩნდა მწყემსთა ბინა. მეცხვარეები დიდი სიხარულით შეხვდნენ მისულთ და ასევე სიხარულით მისცეს ხმა ხალხის რჩეულებს. ბრიგადირმა ვახტანგ აფციაურმა თქვა: — კარგი ადამიანებისათვის ხმა კი არა, გული არ გვენანება. გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

დიდი ორგანიზებულობით ჩაიარა არჩევნებმა რაიონის ყველა საარჩევნო უბანში. შორეულ შატილში, ბარისახოში, ხალაში, მაღაროსკარში, გუდამაყარში მთიელებმა ხმა მისცეს საბჭოთა ხალხის ბედნიერებას, ჩვენს წინსვლას და გამარჯვებას, ხმა მისცეს მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

**ა. თომაძე.**

„კომ". საკ. კორ.

## გრდემლი

**ფრონტის...**

„ა! ისევ ფრონტი, კაცო?!"—უთუოდ გამაწყვეტინებს მკითხველი.

მაგრამ მენდეთ, რომ ამ ნაწერში ერთი ტყვიაც არ გავარდება, თითსაც არავინ გაიკაწრავს, არათუ ვინმე მოკვდეს! უფრო მეტიც — ისეთი ზარ-ზეიმი იგუგუნებს, ადამიანთა სიხარულის ისეთი ზღვა აღელდება, — ვერც აგიწერთ!

პო-და ფრონტის იმ უბანზე, სადაც სამხედრო სამსახურს გავდიოდი, ნეკერძანა ერთი ასეულის ფიცხელი გაყვანა № ქალაქის მერვე ასაქცევზე.

აქ უნდა დავხვედროდით აღმოსავლეთისაკენ მიმავალ პირველ დემობილიზებულებს.

აი, ზომ ხედავ, ძვირფასო მკითხველო, რაოდენ ზღვა სიხარულთან გვქონია საქმე! — სროლა აღარ არის, ომი დამთავრდა, ჩვენ გავიმარჯვეთ, ბედნიერი გადარჩენილნი, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილნი შინ ბრუნდებიან... გაიხარეთ, შინაურებო!

მაგრამ ეს ფიცხელი ბრძანება შეიარაღებული გასვლისა № ქალაქის მერვე ასაქცევზე... ეს კიდევ რაღაა?!

ამბავი აწ უკვე შორეულ წარსულს გადეკუთვნება და რა დასამალავია, პირველ ხანებში, პირველ დემობილიზებულთა გაცილება-გადაყვანა მთლად ტაშფანდურით როდი ხერხდებოდა, როგორც ამის ღირსნი იყვნენ ოთხწლიანი ომის მონაწილენი. ახა წარმოიდგინეთ! — მილიონობით ომგადახდილი თავდავიწყებით მიისწრაფოდა შინისაკენ. რა ტრანსპორტი უნდა ჰყოფნოდა ერთბაშად მათს გადაყვანას!

რა ვიცი, რა სახის ვაგონებისაგან არ შედგებოდა ეს ეშელონი! აქ იყო ას აღგილას მიჩქარეტილ-მოჩქარეტილი, ხალებავატკლეცილი, ერთი სიტყვით, ნაომარი ვაგონები ოდესღაც სამგზავრო მატარებლისა, აქ იყო ცისტერნიანი, ხეტყის მასალებიანი, პირუტყვის გადასაყვანი, ზოგიც ღია, ზოგიც დახურული, ვაგონები, აქა-იქ იყო ნახევარვაგონებიც. ხოლო ბოლო ვაგონი ღია ტიპისა იყო, პლატფორმას რომ ეტყვიან რკინიგზელები, ზედ უზარმაზარი მორები ეწყო. ვაგონის ორივე ბოლოს მცირე მოედანი რჩებოდა. ცარიელი არც ეს ადგილი იყო — ორ-ორი, სამ-სამი ჯარისკაცი აქაც მოკალათებულიყო. ხოლო სამგზავრო ვაგონებს ნუ იკითხავ, შიგ ტევა არ იყო, ნემსიც არ ჩავარდებოდა. ზოგ-ზოგს აქაიქ სახურავზე აძრომაც გაუბედავს. კიბეები, გადასაბმელები, ტამბურები ხომ კომფორტულ სამგზავრო ადგილებად ჩაითვლებოდა! მთავარ სარკინიგზო კვანძამდე, სადაც დემობილიზებულნი საჭირო მიმართულებების ნორმალურ სამგზავრო მატარებლებში უნდა განაწილებულიყვნენ, ეს ოცი კილომეტრიღა რჩებოდა. ამიტომაც ამ მოკლე მანძილზე წვალებასა და სივიწროეს არავინ თაკილობდა. არც იმას ეპუებოდა ვინმე, რომ ხმა დაირხა: ეშელონში შემოპარულია რამდენიმე გადაცმული პირი, რომლებზეც ეჭვია მიტანილი — განძეული გაუტაცნიათ ფაშისტების მიერ მტოვებულ, შემთხვევით აღმოჩენილ მიწისქვეშა საწყობიდანო.

გასინჯვის პირველი ობიექტნი, ცხადია, შეიქმნენ სახურავზე აცოცებულნი.

— ეჰა, ფრონტი, ქვევით, ჩქარა! — ანძახა მათ კაპიტანმა და მკვლავით ანიშნა ყველას. ჩამოსულიყვნენ.

ზოგი მძიმე-მძიმედ ჩამოფორთხდა, ზოგიც — ვისაც ხელბარგი ბევრი არაფერი ჰქონდა, — ცქვიტად. გაგიგონიათ?! — არავის არაფერი აღმოაჩნდა გარდა ჯარისკაცული ავლა დიდებისა! ხაბუთებიც ყველას წესიერი და კარგი!...

ჭერი უკანა, ხე-ტყის მასალებიანი პლატფორმის მგზავრებზე მიდგა. ხუთიოდე ჯარისკაცი ბრძანებისთანავე სწრაფად ჩამოხტა პირდაპირ ბაქანზე.

— შენ რა, არ გიხმა ეს ბრძანება თუ?! — შეჰყვირა კაპიტანმა ერთ ყოჩაღ ჯარისკაცს, პილოტურა რომ ჩამოეფხატა თავზე, თითქმის ყურებამდე, აეგრეხა ულვაშები, გაეღელა გულმკერდი. არნინად, ოლიმპური სიმშვიდით იჯდა პირდაპირ პლატფორმის იატაკზე, ზურგიდან ჯარისკაცული ფუთა არ ჰქონდა ჩამოხსნილი და მითიოვე მიყრდნობილი იყო ხის უზარმაზარ შტაბელებს, ორივე ხელის იდაყვი მუხლებზე ჰქონდა დაბჯენილი. წინ ვეება, რაღაცით სავსე ტომარა ედო, თოკით ყურგამოსასვლელი, და ტომრის ეს ყური ორივე ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული. ისე იჯდა, გეგონებოდა, მას არც ეხებოდა ბრძანება—ძირს ჩამოდიო. კიდევ ერთი შეძახება, და წარმოიმართა, უსიტყვოდ, ღონივრად ჩაავლო თავის ტომარას ორივე ხელი და ასე ორივეა-ორივეთ, ხვნეშით, ოფლის წურვით ბაქანზე ჩამოსდო.

„ა, ქვეყნის დამაქცევარი ნამდვილად ეს არის, ა! — იფიქრებდი ქაცი მისი ტვირთის შემხედვარე, — მთელი განძი ამის ხელშია, ჩანს, გამოვიპირეთ იღბალზე!".

— გახსენი! — უბრძანა კაპიტანმა და შვებით ამოისუნთქა. ჯარისკაცი უსიტყვოდ დაიხარა და შეხსნა სამფად შემოხვეული თოკი და ისევ გაიმართა, დოინჯი შემოიყარა.

— რა გაქვს... — მაგრამ კაპიტანს არ დაუცდია, სანამ ეს ბოლოთი დაბლა დაიხრებოდა. ტომარა თვითონ გასხეა-გამოსწია. რალაც ნივთს შემოხვეული ჰქონდა მაზარა. შემოაძარა, ამოიღო და დადო ბაქანზე. ახლა ტანსაბურა შემოხსნა და ზედ მაზარაზე დაადგა.

— რა გაქვს ასეთი, გეკითხები!.. — ბუტბუტებდა კაპიტანი წელში გაუმართავად. და ტომარაში ხელებს აფათურებდა. ჯარისკაცები ირგვლივ შემოგვეკარნენ. მე ტვირთის პატრონის გვერდში აღმოვჩნდი და მშვენიერი პოზიცია მეკავა, რომ ყველაფერი დამენახა. გოლითი ჯარისკაცი ხმას არ იღებდა, თავის ტვირთზე იყო მბრუნ თვალით დასმ[illegible] და არაფერს არ [illegible] ცევდა ყურადღ[illegible] რაც მის გარ[illegible] ხდებოდა.

ახლა კაპიტანმა აიღო თავი. წელში ამართა. უსიტყვო ჯარისკაცს პირ[

# საერთაშორისო ცხოვრება

## დიდი ყურადღება

### უცხოეთის პრესის ფურცლებზე

საზღვარგარეთის გაზეთების დიდ ყურადღებას იპყრობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ამომრჩეველთა შეხვედრაზე მოსკოვში. ყველაზე ვრცლად უცხოეთის გაზეთები აშუქებენ და კომენტარს უძღვნიან ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე. საფრანგეთის, ამერიკის, ინგლისის, იაპონიის გაზეთები, ბევრი სხვა ქვეყნის პრესა სათაურებში ხაზს უსვამენ ორატორის სიტყვებს, რომ სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები დახმარებას უწევენ და სულ უფრო მზარდი ოდენობით გაუწევენ საჭირო დახმარებას ვიეტნამელი ხალხის საგმირთლიან ბრძოლას. ხაზს უსვამენ აგრეთვე ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ საბჭოთა კავშირი იღებს ახალ ღონისძიებებს, რათა ხელი შეუწყოს გმირი ვიეტნამელი ხალხის გამარჯვების დაჩქარებას. „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“ ცნობას ამ თემაზე ათავსებს სათაურით: „რუსეთი აძლიერებს დახმარებას ვიეტნამისადმი, რათა უზრუნველყოს ჩვენი დამარცხება“.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას პირველ გვერდზე აშუქებენ დღეს ლონდონის „ტაიმსი“, „დეილი ტელეგრაფი“, „ფაინენშულ ტაიმსი“, იაპონური „ასაჰი“ და საზღვარგარეთის ბევრი სხვა გაზეთი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლას ვრცლად აშუქებენ სოციალისტური ქვეყნების გაზეთები. „მთავარი მიზანია სოციალიზმის ძლიერების გადიდება“, „ერთობის განმტკიცება ჩვენი დროის მოთხოვნაა“, „კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკი პარტიისა და ხალხის ერთობის მკაფიო გამოხატულებაა“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ ბულგარეთის ცენტრალური გაზეთები ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვის დაწვრილებითს შინაარსს.

იუგოსლავიის გაზეთ „ბორბას“ სათაურში ნათქვამია: „სსრ კავშირი მოითხოვს ალიკვეთოს ევროპის დაყოფა სამხედრო ბლოკებად“. იუგოსლავიის მეორე გაზეთი „პოლიტიკა“ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსს ათავსებს ასეთი სათაურით: „ვიეტნამში აგრესიის შეწყვეტა და ევროპის უშიშროება შეცვლიდა მთელ ვითარებას მსოფლიოში“.

## ARCHIVE



კუბა. ჰავანა. აგრარული რეფორმის ინსტიტუტის შენობა.
ფოტო ტ. ანანიინისა. (ეასი).

## არჩევნები კენიაში

ნაირობი, 11 ივნისი. (საკდესი). დღეს კენიაში დაიწყო ამ ქვეყნის პარლამენტის დამატებითი არჩევნები. პარლამენტის ქვემო პალატის არჩევნების შემდეგ ერთი კვირის დამლევს გაიმართება ზედა პალატის არჩევნები, მაგრამ ხმებს დათვლიან 27 ივნისის შემდეგ.

დამატებით არჩევნებში ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ მმართველი პარტია — კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირისა და ამას წინათ შექმნილი ოპოზიციური პარტია — კენიის ხალხთა კავშირის კანდიდატები.

## „ნიუ-იორკ პოსტი“ აღიარებს

ნიუ-იორკი, 12 ივნისი. (საკდესი). სამხედრო ხუნტის რეჟიმი, რომელსაც გენერალი კი მეთაურობს, მთავარი დაბრკოლებაა სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობის მოწესრიგების გზაზე, წერს დღეს სარედაქციო სტატიაში „ნიუ-იორკ პოსტი“.

გენერალი კი, წერს გაზეთი, ახლაც ყოველგვარ ოპოზიციას თავისი რეჟიმის მიმართ, აქარწყლებს ვიეტნამის პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ყველა რეალურ პერსპექტივას. „ნიუ-იორკ პოსტი“ აკრიტიკებს შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკას, რომლებიც მხარს უჭერენ სამხედრო ხუნტას. „კი, — ნათქვამია შემდეგ სტატიაში, — ხელისუფლების სათავეში იმყოფება მხოლოდ იმის მეთხეთით, რომ შეერთებული შტატები სულ უფრო მეტ დახმარებას უწევენ მას“.

## ამერიკელი მარიონეტი

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. (საკდესი). „ასლა ვერ ნახავთ ვერც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს, რომელსაც არ მიიჩნევს, რომ გენერალი კი შეერთებული შტატების მარიონეტია“, — განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა დრამატურგმა არტურ მილერმა.

# მარში გრძელდება

ნიუ-იორკი, 12 ივნისი. (საკდესი). მცხუნარე მზეში კოლონა, რომელიც დაახლოებით 500 კაცია, მიემართება მისისიპის შტატის სამხრეთით ქალაქ ჯეკსონში. ზანგთა ოლებისათვის ლაშქრობა, რომელიც ჯეიმს მერედიმამ დაიწყო, დღითიდღე ძალებს იკრებს. „მასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ პროტესტის მძლავრი დემონსტრაციაა ეს.

ეს ლაშქრობა პასიური საპროტესტო დემონსტრაცია როდია. მისი მონაწილენი ზანგებს — ადგილობრივ მცხოვრებლებს ეხმარებიან, ამ მხარეში დაძლიონ, რათა რეგისტრაციაში გატარდნენ შტატის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების საარჩევნო სიებში. გუშინ ქალაქ ბეიტსვილში, სადაც მარშის მონაწილენი მივიდნენ, მოკლე ხანში საარჩევნო სიებში რეგისტრაციაში გატარდა ორმოცზე მეტი ახალი პირი, რომელთა შორის იყო 106 წლის ზანგი ელ ფონდრენი.

ქალაქის ცენტრში ქალაქის სასამართლოს შენობასთან, სადაც დიდი ხნის განმავლობაში სასამართლო წესით უსწორდებოდნენ ზანგ მოსახლეობას და სადაც მუდამ გამართლებული რასისტი დამმაბავები გამოდიოდნენ, გაისმოდა ზანგური სიმღერები, რომლებიც მოუწოდებენენ ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლებს თავისუფლებისა და ერთობისათვის.

მისისიპის შტატიდან მოსული ცნობების თანახმად ჩანს, რომ რასისტები ემზადებიან ახალი თარეშისათვის ზანგი მოსახლეობის მოქალაქეობრივ უფლებათა მამაცი მებრძოლების წინააღმდეგ, რომლებმაც აღმართეს რასისტის მიერ დაჭრილი ჯეიმს მერედიტის დროშა. გზის ბევრ უბანზე, რომლებითაც ლაშქრობის მონაწილენი მიდიან, დაყრილი იყო ბაკლეუკსკლანელთა ფურცლები, რომლებშიც ისინი მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლებს ემუქრებიან ახალი საშინელი სასჯელით. მაგრამ უკვე ვერავითარი მუქარა ვერ შეაჩერებს მერედიტის მიერ დაწყებულ ლაშქრობას.

მაროკო. დედა-შვილი ბრუნდება კასაბლანკის ბაზრიდან. ქალაქებში უკვე ხშირად შეხვდებით ქუჩაში ქალებს, თუმცა მიჩნეულია, რომ ისინი მუდამ შინ უნდა იყონ. მართალია, ბევრი მათგანი ქუჩაში სახეს ჩადრით იფარავს. ყურანი უკრძალავს ქალს დაანახვოს სახე სხვა მამაკაცებს. მოკეკლუცე ქალები, როგორიც ამ სურათზეა გადაღებული, სხვადასხვაფერ გამეჭვირვალე ჩადრს იკეთებენ. მაგრამ ახალ მაროკოში სულ უფრო და უფრო ხშირად არღვევენ აკრძალვას. იქნებ ამ გოგონამაც აღარ მიბაძოს დედას.
(საკდესის ფოტოქრონიკა)

## კანადის პრემიერის განცხადება

ნიუ-იორკი, 12 ივნისი. (საკდესი). გუშინ სპრინგფილდში (ილინოისის შტატი) გამოვიდა კანადის პრემიერ-მინისტრი ლესტერ პირსონი, რომელიც მოძველებული უწოდა „ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის არსებულ სისტემას“, რომელშიც, როგორც მან თქვა, „უპირატესობა აქვს ამერიკას“. „საფრანგეთს, და არა მარტო საფრანგეთს, — განაცხადა მან, — მიაჩნია, რომ კონტინენტური ევროპა ამჟამად საკმაოდ ძლიერია, რათა კონტროლის კანონიერი წესი ეკუთვნოდეს კავშირის პოლიტიკისადმი“.

## ვიზიტი რუმინეთში

პეკინის გაზეთები იუწყებიან, რომ მიმდინარე წლის ივნისში რუმინეთში მიემგზავრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენლაის მეთაურობით.

## „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების ყრილობა

პარიზი, 12 ივნისი. (საკდესი). გუშინ პარიზის „წიგნის სახლში“ გაიხსნა „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების ყრილობა.

